პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

2

კვირა,

1961 წ.

№ 90 (1726)

გამოცემის მე-17 წელი

ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

მატჩები ივლისში

I ᲯᲒᲣᲤᲘ

2. „ნეფტიანიკი“ (ბაქო)-„ავანგარდი“ (ხარკოვი), სკა (როსტოვი)-„ტრუდი“ (ვორონეჟი), „დაუგავა“ (რიგა)-„ლოკომოტივი“ (მოსკოვი), „შახტიორი“ (სტალინო)-„სპარტაკი“ (ვილნიუსი). **4.** „ტორპედო“ (მოსკოვი)-„ადმირალტეეცი“ (ლენინგრადი). **8.** „დინამო“ (თბილისი)-„ავანგარდი“ (ხარკოვი), სკა (როსტოვი)-„დაუგავა“ (რიგა), „შახტიორი“ (სტალინო)-„ტრუდი“ (ვორონეჟი), „ნეფტიანიკი“ (ბაქო)-„ლოკომოტივი“ (მოსკოვი). **9.** „ტორპედო“ (მოსკოვი)-„სპარტაკი“ (ვილნიუსი). **13.** „ნეფტიანიკი“ (ბაქო)-„დაუგავა“ (რიგა), სკა (როსტოვი)-„ავანგარდი“ (ხარკოვი), „შახტიორი“ (სტალინო)-„ადმირალტეეცი“ (ლენინგრადი), „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)-„ტრუდი“ (ვორონეჟი). **14.** „დინამო“ (თბილისი)-„ტორპედო“ (მოსკოვი). **18.** „ადმირალტეეცი“ (ლენინგრადი)-„დაუგავა“ (რიგა). **19.** „დინამო“ (თბილისი)-სკა (როსტოვი). „ტრუდი“ (ვორონეჟი)-„სპარტაკი“ (ვილნიუსი). „ავანგარდი“ (ხარკოვი)-„შახტიორი“ (სტალინო) „ნეფტიანიკი“ (ბაქო)-„ტორპედო“ (მოსკოვი). **25.** „დინამო“ (თბილისი)-„ტრუდი“ (ვორონეჟი), „ნეფტიანიკი“ (ბაქო)-„შახტიორი“ (სტალინო), „სპარტაკი“ (ვილნიუსი)-„ადმირალტეეცი“ (ლენინგრადი), „დაუგავა“ (რიგა)-„ავანგარდი“ (ხარკოვი). **26.** „ტორპედო“ (მოსკოვი)-„ლოკომოტივი“ (მოსკოვი). **30.** „ავანგარდი“ (ხარკოვი)-„სპარტაკი“ (ვილნიუსი), „ტრუდი“ (ვორონეჟი)-„ადმირალტეეცი“ (ლენინგრადი), სკა (როსტოვი)-„ნეფტიანიკი“ (ბაქო). **31.** „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)-„დინამო“ (თბილისი), „დაუგავა“ (რიგა)-„ტორპედო“ (მოსკოვი).

★

ამას წინათ, სოხუმში ჩატარდა დოსაააფ-ის ორგანიზაციის აფხაზეთის პირველობა იალქნიანი ნავებით შეჯიბრებაში.

• • •

სურათზე: ნავები დისტანციაზე.

ფოტო ვ. სემიონოვისა

★

5:2

გუშინ მოსკოვში, ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა მსოფლიო პირველობის მორიგი შესარჩევი მატჩი. ჩვენი ქვეყნის ნაკრების წინააღმდეგ თამაშობდა ნორვეგიის ფეხბურთელთა ნაკრები. შეხვედრის პირველი ნახევარი აღინიშნა მასპინძელთა აშკარა უპირატესობით.

მე-14 წუთზე საბჭოთა ნაკრების ერთ-ერთი შეტევისას მეტრეველმა კარგად ისარგებლა ნორვეგიელ მცველთა შეცდომით და გახსნა ანგარიში. ათი წუთის შემდეგ სტუმრებმა ძლიერი იერიში მიიტანეს ჩვენი ქვეყნის ნაკრების კარზე და უკანასკნელ მომენტში ჩოხელეა იხსნა კარი აშკარა გოლისაგან, რის შემდეგ თამაში ი'ეევ ნორვეგიელთა ნახევარზე გადავიდა. შესვენებამდე პონედელნიკმა ძნელი მდგომარეობიდან ანგარიში ორამდე აიყვანა, ხოლო შემდეგ ბუბუკინმა გაიტანა მესამე გოლი — 3:0.

მეორე ტაიმის მე-9 წუთზე მესხმა წარმატებით გამოიყენა რა თავისი ფინტი, სტუმრები მეოთხედ აიძულა თამაში დ'ეწყოთ ცენტრიდან. მხოლოდ ამის შემდეგ შესძლეს ნორვეგიელებმა (ბორგენი) ერთი საპასუხო გოლის გატანა (მე-20 წუთზე). დარჩენილ დროში მოწინააღმდეგეებმა კიდევ თითო ბურთი გაიტანეს (ბუბუკინი, ჰანსენი).

მატჩი მოიგო ჩვენი ქვეყნის ნაკრებმა 5:2.

სურათზე: ფოთის ახალი სპორტული დარბაზის შიდა ხედი.

ფოტო მ. ზარგარიანისა

ᲤᲘᲜᲘᲨᲖᲔ

ევროპის გუნდური საჭადრაკო პირველობის ფინიში, ისე როგორც მთელი ტურნირი, აღინიშნება საბჭოთა მოჭადრაკეების მძლავრი წინსვლით.

IX ტურში ისინი შეხვდნენ უნგრეთის გუნდს. საბჭოთა ნაკრების ლიდერმა ბოტვინიკმა მწვავე ბრძოლაში დაამარცხა საბო. ლიდერს არ ჩამორჩნენ დანარჩენი მოჭადრაკეებიც. ტალმა ენერგიული თამაშით მოუგო პორტიშს, რითაც რევანში აიღო პირველ წრეში დამარცხებისათვის. კორჩნოიმ სძლია ფილიპს, ხოლო ფურმანმა — ფორინტოშს. ყაიმით დასრულდა პეტროსიან-ბარცას შეხვედრა. პოლუგაევსკი დამარცხდა კლოუგერთან. ამრიგად, მატჩის ანგარიშია 4,5:1,5 საბჭოთა მოჭადრაკეების სასარგებლოდ. ოთხი პარტია გადაიდო.

დიდი მონდომებით ითამაშეს ესპანელებმა გერმანელთა წინააღმდეგ და ტურის ბოლოსათვის შეხვედრის ანგარიში (5:3) მათ სასარგებლოდ იყო. თითქმის თავიდანაა სათამაშო იუგოსლავია-ჩეხოსლოვაკიის მატჩი, ვინაიდან ცხრა პარტია დაუმთავრებელი დარჩა.

IX ტურის შემდეგ საბჭოთა მოჭადრაკეებს 59,5 ქულა აქვთ, ხოლო მეორე ადგილზე მყოფ უნგრელებს — 46,5 ქულა.

მძლეოსანთა დიდი შეჯიბრება

მოსკოვი, (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან). ვ. ლენინის ცენტრალურ სტადიონზე ნამდვილი დღესასწაული, აქ ძმები ზნამენსკების პრიზზე გამართულ მძლეოსანთა შეჯიბრებაზე თავი მოიყარა ხუთი კონტინენტის 24 ქვეყნის 500-მდე სპორტსმენმა, აქ არიან საუკეთესონი ავსტრალიიდან, პოლონეთიდან, რუმინეთიდან, აშშ-დან, შვეიციიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, იაპონიიდან. ეს გასინჯეთ სამხრეთ როდეზიიდანაც კი, ამ ქვეყანამ ერთი მძლეოსანი გამოგზავნა.

ყველას სურს თავისი გამარჯვებით სათანადო წვლილი შეიტანოს იმ სახელოვანი ძმების ხსოვნაში, რომლებმაც 23-ჯერ გაუმჯობესეს საკავშირო რეკორდი და არა ერთხელ გამოსულან გამარჯვებულნი პარიზის, ბერლინის, ვარშავისა და ევროპის სხვა ქალაქების სტადიონებზე.

მართალია, სტარტზე არ გამოსულან მსოფლიო რეკორდსმენი ვაჟთა შორის სიმაღლეზე ხტომაში ვ. ბრუმელი, მისი კონკურენტი აშშ-დან ჯ. თომსი, სიგრძეზე ხტომაში მსოფლიო და ევროპის რეკორდსმენები რ. ბოსტონი და ი. ტერაოვანესიანი, მაგრამ შეჯიბრების ინტერესი ამით ოდნავადაც არ შენელებულა, რადგან სიმაღლეზე მხტომელ საბჭოთა სპორტსმენებს სათავეში უდგათ რომის ოლიმპიადის ჩემპიონი რ. შაულაყაძე. გამარჯვებისათვის იბრძვიან აგრეთვე მსოფლიო რეკორდსმენი ბადროს ტყორცნაში პოლონელი ვ. პიანტკოვსკი, რომის ოლიმპიადის ჩემპიონი ქალთა შორის ბირთვის კვრაში თ. პრესი და მრავალი სხვა.

საზეიმო ცერემონიალის შემდეგ შეჯიბრება დაიწყო. გამოვლინდნენ პირველი გამარჯვებულებიც. განსაკუთრებით ამაღელვებელი იყო 110 მ თარჯრბენი. საბჭოთა კავშირის, ჩინეთის, ავსტრალიის, იტალიისა და სხვათა 16 უძლიერესი იბრძოდა გამარჯვებულის სახელისათვის, მაგრამ ფინალში იგი მხოლოდ ერთს — საბჭოთა სპორტსმენს ა. მიხაილოვს მოუტანა, რომელმაც ფინალში აჩვენა 13,9 წ.

ერთდროულად მიმდინარეობდა შეჯიბრება ბადროს ტყორცნაში ვაჟთა და ბირთვის კვრაში ქალთა შორის. მსოფლიო რეკორდსმენმა ბადროს ტყორცნაში ე. პიანტკოვსკიმ (პოლონეთი) წარმატებით ჩაატარა მთელი შეჯიბრება და შედეგით 56 მ 08 სმ მოიპოვა პირველი ადგილი, რაც შეეხება ბირთვს მკვრელთა შეჯიბრებას, წინასწარ შეხვედრებში დაწინაურდა გ. ზიბინა 16 მ 34 სმ, მაგრამ მას მალე გასწორა თ. პრესმა — 16 მ 97 სმ, ხოლო შემდეგ ფინალში ეს შედეგი კიდევ გაუმჯობესა 44 სანტიმეტრით და დაისაკუთრა ძმები ზნამენსკების პრიზი. აქ მესამე იყო ვ. პოფანი (გდრ) — 15 მ 55 სმ.

ექვსი სპორტსმენი გავიდა ქალთა შორის 100 მ რბენის ფინალში, მათ შორის ოთხი ჩვენი ქვეყნიდან, კარგი სტარტი, კარგი ფინიშით დაამთავრა მ. იტკინამ და მოიპოვა გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე უმაღლეს საფეხურზე ასვლის უფლება. მისი დროა 11,9 წ. სამაგიეროდ ვაჟთა შორის უდავო იყო პოლონელ მ. ფოიკის უპირატესობა, რომელმაც ჯერ კიდევ წინასწარ გარბენში აჩვენა ყველაზე უკეთესი შედეგი 10,6.

ვაჟთა შორის სიმაღლეზე ხტომაში 10 სპორტსმენი გამოვიდა სექტორზე. მათ შორის იყვნენ რ. შაულაყაძე, ვ. ბოლშოვი, ი. კაშკაროვი, შვედი ი. ლინდსტრემი და სხვები, რომის ოლიმპიადის ჩემპიონმა რ. შაულაყაძემ ზედიზედ გამოტოვა პირველი სიმაღლეები — 190 და 195 სმ და ბრძოლაში ჩაება მაშინ, როცა თამასამ 2 მეტრს მიაღწია.

ყოველი შემდეგი სიმაღლე მან მისთვის ჩვეული ოსტატობით გადალახა და როცა თამასამ 210 სმ-ს მიაღწია, შეჯიბრებას შაულაყაძე და კაშკაროვი შემორჩნენ, ეს სიმაღლე პირველ ცდაზევე „დანებდა“ შაულაყაძეს, რამაც მას გამარჯვება მოუპოვა.

5000 მ რბენა მოიგო პ. ბოლტნიკოვმა — 13.58,4.



თბილისში მიმდინარეობს დოსაააფ-ის რესპუბლიკური სპარტაკიადა სპორტის ტექნიკურ სახეობებში. ნურათებზე: მარცხნივ — თბილისის მანქანათმშენებელი ტექნიკუმის სპორტსმენი ვ. რომელაშვილი ემზადება ყვინთვისათვის. მეორე ხურათზე თქვენ ხედავთ მუშა-მშენებელს ვ. კოსტილევსა და მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის სტუდენტს ი. გუკასოვს შეჯიბრების დამთავრების შემდეგ. მარჯვნივ — კ. პაპკორია ვარჯიშობს გლისერის მოდელის გაშვებაში.

ფოტოები ხ. კრუუკოვისა

ჯავნერგოთ, განვავითაროთ სპორტის ტექნიკური საზეობანი

პლენუმმა იმსჯელა მეტად მნიშვნელოვან საკითხებზე

რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულმა ორგანიზაციებმა არაერთი გამოჩენილი სპორტსმენი აღუზარდეს საშობლოს, რომელთა მიერ მოპოვებულმა წარმატებებმა შორს გაუთქვეს სახელი საქართველოს. ისინი ყოველთვის სამაგალითონი იყვნენ, ახალგაზრდობას აძლევდნენ შრომისმოყვარეობისა და დისციპლინის შესანიშნავ მაგალითებს.

კარგი ტრადიციები, საერთაშორისო მასშტაბის წარმატებანი თავისით როდი მოდიან. მათ ქმნიან ჩვენი საუკეთესო მწვრთნელები, ადამიანები, რომლებიც გამოცდილებას არ იშურებენ ახალი თაობის აღზრდისათვის. ეს წარმატებანი სათავეს იღებენ ფაბრიკა-ქარხნების, სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების, სოფლის ფიზკულტურულ კოლექტივებში. ახლა რესპუბლიკაში იშვიათად ნახავთ საწარმოს, კოლმეურნეობას, სადაც კომუნისტური შრომის ფიზკულტურული ბრიგადები არ იყოს. შრომა, სპორტი და სწავლა — რესპუბლიკის სპორტული კოლექტივების საბრძოლო დევიზად იქცა.

საქართველოს ფიზკულტურელთა მიერ უკანასკნელ წლებში მოპოვებული წარმატებანი სასწავლო-საწვრთნელი და პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხობრივი გაუმჯობესების უშუალო შედეგია. ფიზკულტურულ მუშაკთა, სპორტსმენთა და მწვრთნელთა შორის თეორიული ცოდნის დონის ამაღლებისა და პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში მნიშვნელოვან საქმიანობას ეწევიან რადიო, ტელეხედვა და რესპუბლიკის ბეჭდვითი ორგანოები, სისტემატურად ტარდება ლექციებ-მოხსენებანი ადგილებზე და სხვ.

თუ აღნიშნულს დავუმატებთ იმასაც, რომ ახალგაზრდებისათვის ღიაა უმაღლესი სასწავლებლების კარები, მწვრთნელთათვის ყველა პირობაა შექმნილი დაუსწრებელ განყოფილებაზე სწავლისათვის და წელს გაიხსნა კულტურის უნივერსიტეტი, ნათელი გახდება, რომ პოლიტ-აღმზრდელობითმა მუშაობამ ფართოდ გაიდგა ფესვები რესპუბლიკის ფიზკულტურელთა შორის.

მაგრამ ეს საკითხი მთლიანად არაა გადაჭრილი და სწორედ ამიტომ წელს კვლავ იმატა სპორტსმენთა მიერ უდისციპლინობის, ქედმაღლობის ფაქტებმა.

ფაქტები? აი ისინიც: მოვიგონოთ გასული წლის დეკემბერში მოსკოვში თბილისისა და მოსკოვის „დინამოს“ წყალბურთელთა მიერ რესტორან „არაგვში“ დროსტარების შედეგი, მინსკში მოფარიკავეთა შეჯიბრების დამთავრების შემდეგ თბილისის სტუდენტთა „საქმენი საგმირონი“, საქართველოს მოჭიდავეთა მიერ რუმინეთში ჩადენილი სამარცხვინო საქციელი და სხვ.

მწვრთნელმა მძლეოსნობაში ახალკაცმა მოსწავლე უშაკოვა თბილისის შეჯიბრებაზე გამოიყვანა ჯერ „სპარტაკის“, ხოლო შემდეგ პოლიტექნიკური ინსტიტუტის სახელით, სადოვომ მოსწავლეებს ბერინბერგს, ნადარაიას და შმაიჭანოვას განაცხადში გადაუსწორა დაბადების წელი და საქალაქო შეჯიბრებაზე გამოიყვანა „ისნის“ სახელით.

ამ მხრივ მეტი გამომგონებლობა გამოიჩინეს ქუთაისელებმა, როცა კრივში საქართველოს საიუბილეო სპარტაკიადის ფინალში თავიანთი გუნდის შემადგენლობაში შეიყვანეს ბაქოს მკვიდრი — მანდალიანი, რომელმაც პირველი ადგილი მოიპოვა კოდეც. ცხადია, ამ საქმეში სათანადო „ღვაწლი“ მიუძღვით მწვრთნელებს ცეცაძეს და მარქაროვს.

მძლეოსანმა შუქურაოვამ, რომელსაც მხოლოდ მეორე თანრიგი აქვს, „განთიადის“ ცენტრალურ საბჭოს გაზრდილი ხელფასი მოსთხოვა და უარით უკმაყოფილომ შარშან მონაწილეობა მიიღო რა როსტოვში გამართულ საკავშირო ღონისძიებაში „განთიადის“ სახელით, შეჯიბრების დამთავრებისთანავე ბათუმში გაემგზავრა „კოლმეურნის“ საწვრთნელ შეკრებაზე და მისი ინტერესებიც დაიცვა ერევანში გამართულ სპარტაკიადაზე, ხოლო მისი ქმარი ი. შუქუროვი ვილნიუსში „ბურევესტნიკის“ საკავშირო პირველობის შემდეგ როსტოვში ჩამოფრინდა და ახლა „განთიადის“ სპორტსმენად მოევლინა მძლეოსანთა შეჯიბრებას, ასევე მოიქცნენ მექენკოვი და თვაურიც.

როგორც ვხედავთ, ფაქტები საკმარისზე მეტია. ისინი მეტყველებენ სპორტსმენთა და მწვრთნელთა აღზრდის საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზე, სპორტკავშირების საბჭოების არასათანადო მუშაობაზე. ისინი სათანადოდ არ იყენებენ საზოგადოებრიობის ძალას, არ აწყობენ ამხანაგურ სასამართლოებს, წესრიგის დამრღვევთა საკითხს არ იხილავენ კომკავშირელთა და ფიზკულტურელთა საერთო კრებაზე.

ამ მეტად აქტუალური საკითხის ირგვლივ მოუთხრო საქართველოს სპორტკავშირის IX პლენუმს სპორტკავშირის რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. სიხარულიძემ. მომხსენებელმა ზემოჩამოთვლილს გარდა მრავალი სხვა ფაქტებიც მოიყვანა, ილაპარაკა აგრეთვე მწვრთნელთა კადრების, თვალსაჩინო აგიტაციის, ბაზების მოვლის საკითხებზე და დასახა აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის გზები.

პირველი საკითხის ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს შ. მჟავანაძემ (აჭარის სპორტკავშირი), ა. ჩოგოვაძემ (ქუთაისის სპორტკავშირი), რ. პოპოვამ (საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტი), ვ. ბალავაძემ (სპორტის დამსახურებული ოსტატი), ც. ბუაშვილმა (სპორტის ოსტატი), გ. ჯინჭარაძემ (ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე).

პლენუმმა მოისმინა აგრეთვე თბილისის სპორტკავშირის თავმჯდომარის მოადგილის მ. ბერიევის, „შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის კ. მიქაშვილის, სპორტკლუბ „გამარჯვების“ საბჭოს თავმჯდომარის რ. ჟღენტის, წითელწყაროს სპორტკავშირის თავმჯდომარის ე. ჯანყარაშვილის, სამხრეთ ოსეთის სპორტკავშირის თავმჯდომარის ა. არბლიშვილის, ჩოხატაურის სპორტკავშირის თავმჯდომარის დ. ჩხიკვაძისა და საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ა. მეიფარიანის ინფორმაციები სკკპ XXII ყრილობის შესახვედრად რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების მიერ აღებულ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის საკითხებზე.

პლენუმმა ორივე საკითხზე მიიღო სათანადო დადგენილებანი, რის შემდეგ სიტყვა მიეცა სსრ კავშირის სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს საორგანიზაციო განყოფილების გამგეს დ. კუზნეცოვს, რომელმაც გასულ წელს სპორტკავშირის რესპუბლიკურ საბჭოებს შორის საუკეთესო მაჩვენებლების მოპოვებისათვის გარდამავალი დროშა გადასცა საქართველოს სპორტკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს გ. სიხარულიძეს. პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებებს შორის გამარჯვებისათვის დროშა გადაეცა „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარეს ი. ბოგორიძეს, ხოლო საპატიო სიგელები „კოლმეურნის“ ცენტრალურ საბჭოსა და თბილისის სპორტკავშირს. ცენტრალური საბჭოს საპატიო სიგელები გადაეცა აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის 18 ფიზკულტურულ კოლექტივს, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი გასული წლის მაჩვენებლების გადაჭარბებით შესრულებაში: სპორტკლუბ „გამარჯვებას“, „ისანს“, სართავ-სატრიკოტაჟო და მაუდ-კამვოლს ოქმინატებს, № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკას, ქარხანა „ელექტროავტომატს“, ქუთაისის ავტოქარხანას, ბათუმის ნავთობგადამმუშავებელ ქარხანას, მახარაძის რაიონის შემოქმედის კოლმეურნეობას, ძველი ანაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას, ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობას, ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმს, პოლიტექნიკურ ინსტიტუტს, საელმავლო დეპოს, „დინამოს“ № 2 კოლექტივს, რკინიგზის 1-ლ სახელოსნო სასწავლებელს, მე-4 ტექსასწავლებელსა და ინდუსტრიალურ ტექნიკუმს.



ქობულეთი

ქობულეთის დოსაააფ-ის რაიონულმა კომიტეტმა ჩაატარა სპარტაკიადა სპორტის ტექნიკურ სახეობებში.

ავტორბოლის სტარტზე, რომლის მარშრუტი იყო ქობულეთი-მახარაძე-სამტრედია-ფოთი-სუფსა-ქობულეთი, გამოვიდა 20-მდე მსუბუქი ავტომანქანა. გაიმარჯვა ა. კახიძემ (კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბერი“). მეორე ადგილზეა ჩაისუბნელი ს. კობალაძე. ამავე მარშრუტით მოეწყო მოტორბოლაც, სადაც გამარჯვება წილად ხვდა ქალაქის სახანძრო რაზმის წევრს რ. კოხრეიძეს.

მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია ქალაქის სტადიონზე გაშართულმა მოტოციკლისტთა ფიგურულმა სვლამ. აქ უძლიერესი აღმოჩნდა მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ა. თურმანიძე.

ავიამოდელისტთა და ტყვიით მსროლელთა შეჯიბრებაში პირველ ადგილზე გამოვიდნენ ქობულეთის № 2 რუსული საშუალო სკოლის მოსწავლეთა კოლექტივები. საწყლო-სამოტორო სპორტში 2.000 მეტრ დისტანციაზე უძლიერესნი აღმოჩნდნენ მაშველი სადგურის გუნდის წევრები თ. გიორგაძე და ა. ჯაბაჩენკო.

საერთო გუნდური პირველი ადგილი და სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება მოიპოვა № 2 სკოლის კოლექტივმა.

ლ. ტრაპაიძე

ზესტაფონი

დამთავრდა ზესტაფონის ფერო შენადნობთა ქარხნის მეხუთე საქარხნო სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში შედიოდა ფეხბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი, მძლეოსნობა, მაგიდის ჩოგბურთი და ჭადრაკი.

სპარტაკიადაზე პირველი ადგილი მოიპოვა № 1 საამქროს ფიზკულტურულმა კოლექტივმა, მეორე — ელექტროსაამქრომ, ხოლო მესამე — მესამე საამქრომ.

ამ სპორტულ დონისძიებაში მონაწილეობას ღებულობდა 300-ზე მეტი ჭეტალურგი.

ხ. ტალახაძე

წიდლეგათა მიწერეგა

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის პრეზიდიუმმა რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიანიჭა ძალოსნობაში უ. ჭირაქაძეს (თბილისი, „ბურევესტნიკი“), წყალში ხტომაში — ვ. იუზბაშეკს (თბილისი, „ლოკომოტივი“), ტანვარჯიშში — ა. დიდიშვილს (ზუგდიდი, „სპარტაკი“), ტყვიით სროლაში — ა. რაჩენს (სოხუმი, „დინამო“), კალათბურთში — ო. ჩიჩუას (ქუთაისი, „განთიადი“).

ლ ე ლ ო

ფე-2 ბბ. № 90 (1726)



○ ველომრგოლელეგმა აჩვენეს მაღალი შედეგები
○ ტყვიით სროლაში გაიმარჯვეს ქუთაისელებმა
○ ტურნირი — დაუმარცხებლად დასრულდა

დამთავრდა მოსწავლეთა სპარტაკიადა

მოსწავლეთა XIII რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება კალათბურთში უკვე დამთავრდა. როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი ადგილები თბილისის გოგონათა და ჭაბუკთა გუნდებმა დაიკავეს. მათ ტურნირში არც ერთი წაგება არ განუცდიათ. გოგონებს შორის მეორე ადგილზე გამოვიდნენ აფხაზეთის კალათბურთელები, მესამეზე — აჭარის წარმომადგენლები. ჭაბუკთა შორის მეორე ადგილი წილად ხვდა ქუთაისის გუნდს, მესამე — აჭარის კალათბურთელებს. ჭაბუკთა შორის ასტრონომიული ანგარიშით — 110:22 თბილისელებმა მოუგეს სამხრეთ ოსეთის გუნდს.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ბოლო ტურის თამაშებში სამხრეთ ოსეთის გოგონათა და ჭაბუკთა გუნდებმა თვითნებურად არ მიიღეს მონაწილეობა და თბილისიდან გაემგზავრნენ. ისედაც ძალზე სუსტად მომზადებულ კოლექტივს ასეთი უპასუხისმგებლობა ზიანის მეტს არაფერს მოუტანს.

• • •

ჭაბუკ ჩოგბურთელთა გუნდებს შორის კარგი მომზადება გამოავლინეს აფხაზეთის წარმომადგენლებმა, რომლებმაც ნახევარფინალში ანგარიშით 4:1 დაამარცხეს თბილისის II გუნდი და ფინალში გავიდნენ თბილისის პირველ გუნდთან ერთად.

აფხაზეთის ნორჩ ჩოგბურთელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ დიდი მონდომებით ჩაატარეს შეხვედრა და მასპინძლებმა მხოლოდ ძალთა უკიდურესი დაძაბვით შესძლეს მინიმალური ანგარიშით გამარჯვება — 4:3.

თანმიმდევრობა არც გოგონათა შეხვედრებში დარღვეულა და ჩემპიონობა კვლავ თბილისელებმა შეინარჩუნეს.

პირად პირველობაზე გამართულ შეჯიბრებაში პერიფერიებიდან ჩამოსულმა სპორტსმენებმა თანდათან დაკარგეს შემდგომ ბრძოლებში მონაწილეობის უფლება და დასკვნით ნაწილში გავიდნენ მხოლოდ თბილისელები.

ჭაბუკთა შორის ჩემპიონობა მოიპოვა მეტრეველმა, რომელმაც ფინალში დაამარცხა დ. ურაევსკი — 6:0, 6:2. გოგონათა შორის წარმატებით ითამაშა ნ. თუხარელმა, რომელმაც ნახევარფინალში ანგარიშით 6:2, 6:0 მოუგო გ. ტიმაშუკს და ჩემპიონის სახელის მოსაპოვებლად ა. ივანოვას პირისპირ დადგა.

ნ. თუხარელმა პირველი პარტია თავის სასარგებლოდ დაამთავრა 6:4. იგი მეორეშიც წინ იყო — 5:3, მაგრამ კრიტიკულ მომენტში ანერვიულდა და პარტია წააგო — 5:7. ამ დამარცხებამ მას საკუთარ ძალებში რწმენა დაუკარგა. მესამე პარტიის წაგების შემდეგ მან გამარჯვება მიულოცა მოწინააღმდეგეს.

ნ. თუხარელმა თავისებური რევანშის აღება შეძლო წყვილთა ფინალურ შეხვედრაში, სადაც გ. ტიმაშუკთან ერთად დაამარცხა ივანოვა-რიაზანოვას წყვილი — 2:6, 6:3, 6:2. შერეულ წყვილთა შორის ნ. თუხარელმა და ა. მეტრეველმა დაამარცხეს ა. ივანოვა და ვ. პერეგუდოვი — 6:4, 6:2.

ვაჟთა წყვილებში ჩემპიონები გახდნენ ა. მეტრეველი და ა. ბ. სენჩუროვი.

• • •

მოსწავლეთა სპარტაკიადის ორგანიზატორებმა წინა წლებისაგან განსხვავებით გადაწყვიტეს ველოსიპედისტთა შეჯიბრება უფრო ძნელ ტრასაზე — რუსთავის გზატკეცილზე ჩაეტარებინათ. პირველი დღე დაეთმო გუნდურ რბოლებს ჭაბუკებისათვის 50, გოგონებისათვის 15 კილომეტრზე (გოგონათა დისტანცია ძლიერი ქარის გამო შემცირებულ იქნა 15 კმ-მდე). თბილისის გუნდმა (დ. გეგეშიძე, თ. ნიკარაძე, ფ. ჩქარეული, გ. უაველაშვილი), რომელიც თითქმის მთლიანად მე-2 სკოლა-ინტერნატის მოსწავლეებით იყო დაკომპლექტებული, უკან ჩამოიტოვა ყველა მოწინააღმდეგე და გაიმარჯვა.

ასე განაწილდა ადგილები გოგონათა შორისაც. გამარჯვება პირველ გუნდს მოუტანეს ვ. ჟელტიკოვამ, ლ. კვანტალიანმა, ვ. სტაშევსკაიამ და კ. კალინინამ. მეორე ჯგუფში უძლიერესნი იყვნენ წყალტუბოს ჭაბუკთა და რუსთავის გოგონათა გუნდები, გორელებმა მოიპოვეს მეორე ადგილები (როგორც გოგონებში, ისე ჭაბუკებში).

მეორე დღე დაეთმო შუალედებიან სტარტს. აღსანიშნავია, რომ 66 მონაწილედან ჭაბუკებს შორის 14-მა აჩვენა გაცილებით უკეთესი შედეგი, ვიდრე მინსკის ზონალურ სპარტაკიადაზე გამარჯვებულს ჰქონდა — 31,52. მათ შორის უძლიერესმა — დ. გეგეშიძემ დისტანცია დაამთავრა 29 წუთსა და 20 წამში. კარგად გამოვიდნენ ინტერნატის მოსწავლეები ყაზბეგელები ო. სუჯაშვილი და ფ. ჩქარეულიც, რომლებმაც II და III ადგილები გაინაღდეს. გოგონათა რბოლაში 15 კმ დისტანციაზე გაიმარჯვა ვ. სტაშევსკაიამ. მეორე ადგილი დაიკავა ვ. ჟელტიკოვამ.

კვლავ ისახელეს თავი ინტერნატის მოსწავლეებმა (მწვრთნელები კ. შენგელია, გ. ჯოხაძე) ვაჟთა საერთო სტარტით 50 კმ რბოლაში. 23 კილომეტრის შემდეგ რბოლას სათავეში ჩაუდგა ე. მელქოვი (აჭარა), რომელმაც „გაქცევა" სცადა, მაგრამ ქუთაისელმა ა. მარჩენკომ, თბილისელებმა ფ. ჩქარეულმა, დ. გეგეშიძემ და გ. უაველაშვილმა ჯერ „დაიჭირეს" იგი, ხოლო შემდეგ გასწრეს კიდეც, ოთხეული თითქმის ერთად მივიდა ფინიშზე. გამარჯვებული ფ. ჩქარეულის შედეგია 1:17.40.

• • •

სამი ვარჯიში ჰქონდათ შესასრულებელი ტყვიით მსროლელებს — მცირეკალიბრიან შაშხანიდან წოლილა, სტანდარტზე და მცირეკალიბრიანი პისტოლეტიდან სროლაში. პირველ ვარჯიშში — მცირეკალიბრიანი შაშხანიდან 50 მ წოლილა სროლაში 60 ჩასათვლელი ვაზნა მიიღო თვითეულმა. ყველაზე უკეთ მომზადებული აღმოჩნდა აჭარის მოსწავლეთა გუნდის წევრი ვ. პელენოვი, რომელმაც 556 ქულა მოაგროვა 600 შესაძლებლიდან და 3 ქულით აჯობა გ. კაბანოვს (სამხრეთ ოსეთი). ერთნაირი მაჩვენებელი — 552 ქულა ჰქონდათ ქუთაისელებს ი. ზონენაშვილს, ა. ანთაძესა და კ. სტეფანოვს (აფხაზეთი). უპირატესობა მიეკუთვნა ზონენაშვილს.

სტანდარტში 3×20 კვლავ ისახელა თავი ვ. პელენოვმა. მან წოლილა სროლაში მოაგროვა 184 ქულა, ჩოქელა — 181 ქულა (საუკეთესო შედეგი) და დგომელა სროლაში 168 ქულა (აქაც საუკეთესო), სამი მდგომარეობის ჯამში აჩვენა 533 ქულა, რაც საკმარისი აღმოჩნდა გამარჯვებისათვის. თბილისელი ზ. კირვალიძის შედეგია — 527 ქულა.

მცირეკალიბრიანი პისტოლეტიდან სროლა მოიგო ვ. ლაჟევსკიმ (აჭარა), რომელმაც 258 ქულა მოაგროვა და პირველი თანრიგი შეასრულა. მომდევნო ადგილებზე არიან ტ. ქართველიშვილი (თბილისი) — (254 ქულა) და რ. გირგვლიანი (ქუთაისი) — 248 ქულა.

გაზეთ „ლელოს" გრიგალა.





სპორტი საზოგადოებაში

★

ხაქართველოს პროფგანათლების ხახწავლებელთა XIV სპარტაკიადა, მომენტები ქართული ხტილის მოჭიდავეთა ახპარეზობიდან. ზევით — გ. გოგიჩაშვილისა და რ. ზახევის შეხვედრა; ქვევით — უმჩატესი წონის მოჭიდავე კ. ნადირაძე (მარცხნივ) ძნელ მდგომარეობაში აღმოჩნდა ი. ბოგულოვის ფანდის შემდეგ.

ფოტო უ. მოხეხოვისა

★

„სპარტაკი"

ჩვენი ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვში დამთავრდა ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოება „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს საკავშირო პირველობა თანამედროვე ხუთჭიდში. ამ შეჯიბრებაში ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ნაკრებ გუნდებთან ერთად მონაწილეობდა საქართველოს „სპარტაკის" ნაკრები გუნდიც, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ სპორტის ოსტატები: გ. კალმახელიძე, ა. კრავჩენკო, ა. მაკანინი, პირველთანრიგოსანი ლ. სალუქვაძე და ი. ხაზიური.

ამ ცოტა ხნის წინათ ისინი საქართველოს ჩემპიონები გახდნენ, ამჯერად კი სპორტსაზოგადოება „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს პირველობა და გარდამავალი თასიც დაისაკუთრეს. ჩვენმა სპორტსმენებმა საბოლოო ჯამში 19001 ქულა მოაგროვეს და მნიშვნელოვნად გაუსწრეს ყველა მონაწილე გუნდებს. მეორეზეა მოსკოვის გუნდი, რომელმაც 18517 ქ. მოაგროვა, ხოლო მესამეზე — უზბეკელ სპორტსმენთა კოლექტივი.

პირად ჩათვლაში უძლიერესის სახელი მოსკოველმა ჟდანოვმა დაისაკუთრა. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა ა. კრავჩენკომ 4406 ქულით მესამე ადგილი დაიკავა. მეოთხე ადგილზე გავიდა ლ. სალუქვაძე, ხოლო ი. ხაზიური ახალგაზრდათა შორის პირველი იყო.

თ. ბაჩეჩილაძე

„დინამო"

ალინინგრადში გაიმართა „დინამოს" ცენტრალური საბჭოს 1961 წლის პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც მონაწილეობდა სპორტსაზოგადოების 15 გუნდის 200 უძლიერესი მოჭიდავე.

ხურათებზე: ზევით — სპარტაკიადის ჩემპიონი ჭადრაკში — თბილისის ჭაბუკთა გუნდი და მთავარი მხაჯი ვ. გოგლიძე არჩევენ ერთ-ერთ პარტიას; ქვევით — სამტრედიისა და ახალქალაქის ჭაბუკ კალათბურთელთა შეხვედრის მომენტი.

ფოტო გ. თარალაშვილისა

☆

შესანიშნავად ჩაატარეს შეჯიბრება საქართველოს დინამოელებმა, რომლებმაც მოიპოვეს საერთო პირველობა, ხოლო წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: მენაბდე, გოგიჩაიშვილი, გოგოლაძე, ჭყონია და ბიჭიაშვილი. აღსანიშნავია მძიმე წონის ახალგაზრდა მოჭიდავის ი. ბიბილეიშვილის წარმატება.

„დინამოს" ცენტრალური საბჭოს ნაკრები გუნდი საწვრთნელ ვარჯიშს გადის სსრ კავშირის საუწყებო გუნდური პირველობისათვის. ნაკრების ბირთვს ქართველი მოჭიდავეები შეადგენენ.

ახალი ექსპერიმენტული სარბენი ბილიკი

მძლეოსნობის განვითარებისათვის შესანიშნავი ბუნებრივი პირობებია ამერიკაში, განსაკუთრებით კალიფორნიის შტატში, სადაც ამერიკელთა მიერ დამყარებულ იქნა მსოფლიო რეკორდების უმრავლესობა, მაგრამ არსებული საკმარისად არ მიაჩნიათ, რადგან აქ, უფრო კი ჩრდილოეთ რაიონებში, ხშირი წვიმები ცოტად თუ ბევრად აზიანებს ბილიკებს. გამოსავალის ძიებას ამაოდ არ ჩაუვლია, გადაწყდა: გუმბოლდტის კოლეჯის სტადიონზე მოეწყოს რეზინის, ასფალტისა და სილის შენაერთის ბილიკი.

სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ასეთ ბილიკს მაღალი თვისებები აქვს ყოველგვარ ამინდში, ამასთან მისი შეცვლა, ისე როგორც ავტომანქანის საბურავისა, შეიძლება ყოველთვის, არ სჭირდება მოვლა და შეჯიბრების ორგანიზატორებს ათავისუფლებს დახაზვისაგან, რადგან საღებავი შეიძლება ისე შეერიოს ბილიკის დამზადების დროს, რომ გამოცვლამდე შეინარჩუნებს სახეს.

სპეციალისტები ვარაუდობენ იმასაც, რომ ახალი ბილიკი მაღალი შედეგების ჩვენების შესანიშნავ პირობებს ქმნის, მაგრამ, შეიძლება თუ არა ამგვარ ბილიკზე ნაჩვენები შედეგების მსოფლიო რეკორდებად დამტკიცება, ჯერ არ გამხდარა მსჯელობის საგნად.

გერმანული იუმორი

გურთი და მეკარე

ეზოში ბავშვები ბურთს თამაშობდნენ. უეცრად ბურთი მეზობლის ფანჯარას მოხვდა და ჩაამტვრია. ქალბატონმა შულცემ ოთახში შემოგორებულ ბურთს ხელი დასტაცა და გაბრაზებული კარში გამოვარდა, რომ გაეგო თუ ვინ ჩაულეწა ფანჯარა. ამასობაში მეკარე ფრიცმაც მიირბინა ქალბატონ შულცეს კარებთან. მან ქალს ბურთის გამოსართმევად ხელი გაუწოდა და შეშფოთებით ჰკითხა:

— მინას ნამსხვრევება ხომ არ დაზიანა?

მარჯვე მსროლელი

ერთი ცნობილი მხატვარი ნადირობის მოტრფიალეც იყო, მაგრამ მიზანში ვერ ახვედრებდა. ერთხელ მას მონადირეები ეწვივნენ. სტუმრებმა ძველი საბძლის კარებზე ცარცით დახატული ირემი შენიშნეს, რომელსაც ტყვია შიგ თვალში ჰქონდა მორტყმული.

— რა ოსტატური ნასროლია! — წამოიძახა ერთმა აღტაცებით, — ნეტავ ვინ ესროლა?

— მე ვესროლე, — მიუგო მხატვარმა ამაყად.

— ალბათ ორი ან სამი ნაბიჯის სიშორიდან, არა? — ჰკითხეს ირონიულად.

ყველას გაეცინა, ხოლო მხატვარმა სერიოზულად მიუგო.

— მანძილი დაახლოებით ორასი ნაბიჯი იყო.

— თუ დამიმტკიცებ, სანაძლეოდ ათ ოქროს ვდებ! — უთხრა მონადირემ.

მხატვარმა მეზობლებს დაუძახა და ყველამ დაუდასტურა, რომ მხატვარმა მართლაც ორას ნაბიჯზე მეტი მანძილიდან ესროლა საბძლის კარებსო.

განცვიფრებული მონადირე მხატვარს მიუბრუნდა: მართალია, სანაძლეო წავაგე, მაგრამ ის მაინც მითხარი ასე ზუსტად მიზანში როგორ ამოიღეო.

— სულ უბრალოდ, — მიუგო მხატვარმა, — საბძლის კარებს ჯერ ტყვია ვესროლე და შემდეგ ირემი დავხატე.

თარგმნა შ. ამირანაშვილმა



— ოტო და ტუსტა ს-ბოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ბ. დიაჩკოვისა.

კიევში გამართულ რსფსრ-ს, უკრაინის, მოსკოვისა და ლენინგრადის ათჯიდელთა შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი მძლეოსნები, რომელთა შორის იყო თბილისელი ოსტატი ი. დიაჩკოვ-დუმბაძე. როგორც ცნობილია, შეჯიბრება მოიგო უკრაინელმა ი. კუტენკომ, საკმაოდ მაღალი შედეგით — 8,127 ქულა.

მაგრამ ეს სურათი, რომელზეც ნათლად აღნიშნულია თუ როგორ არღვევს იგი შეჯიბრების წესს (ხელით იჭერს ი. დიაჩკოვს), რომ გაეთვალისწინებია მსაჯთა კოლეგიას, მაშინ კუტენკოს შედეგს გაუჭიანდა.



„ფლუმინენზე“ ამარცხებს ბულგარეთის ნაკრებს

ევროპაში ამჟამად ტურნეს ატარებს ბრაზილიის რამდენიმე უძლიერესი საფეხბურთო კლუბი, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს „ფლუმინენზეს“ წარმატება. რიო-დე-ჟანეიროს ეს კლუბი თვეზე მეტია, რაც გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევს ევროპის უძლიერეს კლუბებთან.

ბულგარელებმა, რომლებიც ფრანგებთან გადამწყვეტი თამაშისათვის ამზადებენ თავიანთ ეროვნულ ნაკრებს, საწვრთნელი მატჩისათვის მოიწვიეს „ფლუმინენზე“. ბულგარეთის ნაკრებში თამაშობდნენ ნაიდენოვი; რაკაროვი, დიმიტროვი, კოტოვი; ენჩევი, კოვაჩევი, ილიევი, იაკიმოვი, ბორდანოვი, კოლევი, კოსტოვი (დიევი). „ფლუმინენზეს“ ფეხბურთელთაგან ევროპაში იცნობენ მხოლოდ მეკარე კასტილიოს, რომელიც თავის ქვეყანაში უძლიერესად ითვლება ჟილმარის შემდეგ და ჰაბუკ ცენტრფორვარდ ვალდოს, რომელიც ნაკრების ცენტრფორვარდ კუტინიოს ძირითადი მეტოქეა.

სოფიის სპორტული გაზეთი „ნაროდენ სპორტი“ დიდი ქებით იხსენიებს ბრაზილიელებს. მაღალ შეფასებას აძლევენ მარცხენა გარემარბ ილტინს „რომლის მსგავსი გარემარბი სოფიაში მოთამაშე არ ყოფილა“, ილტონთან ვერაფერი გააწყო ბულგარელთა ცნობილმა მცველმა რაკაროვმა. დიდი აგრესიულობა გამოამჟღავნა ვალდომ, რომლის დარტყმული რამდენიმე უძლიერესი ბურთი აიღო მეკარე ნაიდენოვმა, მაგრამ ცენტრფორვარდი 68-ე წუთზე გაექცა ბულგარელ მცველებს და გაიტანა გადამწყვეტი გოლი. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვა „ფლუმინენზემ“.

იტალიელთა გამარჯვება

გაიმართა ტრადიციული მატჩი იტალიისა და საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდებს შორის, სადაც 10-10 კლუბი მონაწილეობდა. წელს ორივე ქვეყანა გამოდიოდა შესუსტებული შემადგენლობით: საფრანგეთის მხრივ არ თამაშობდნენ „მონაკო“, „რესინგი“ და „რეიმსი“, იტალიის მხრიდან მონაწილეობა ვერ მიიღეს „იუვენტუსმა“, „ინტერნაციონალემ“ და „ფიორენტინამ“.

ცენტრალური შეხვედრა „მილანსა“ და „ნიმს“ შორის დამთავრდა უშედეგოდ — 0:0. „გენუა“ დამარცხდა საკუთარ მინდორზე „კანთან“ — 2:3, მაგრამ დანარჩენ შეხვედრებში იტალიელთა გუნდებმა მოიპოვეს თვალსაჩინო უპირატესობა; მათ მოიგეს 5 მატჩი, 2 ფრედ დაამთავრეს და 3 წააგეს, ამგვარად, შეხვედრის საბოლოო ანგარიშია 12:8 იტალიელთა სასარგებლოდ.

რედაქტორი ი. უგულავა.

რუმინეთ-საქართველოს საჭადრაკო მაცდის პარტიებიდან

ე. კაკაბაძე-მ. პერევოზნიკი

მ. პერევოზნიკი დიასახლისია. იგი რუმინელთა ერთ-ერთი საიმედო ძალაა. მ. პერევოზნიკმა ბუქარესტში ორი პარტია მოუგო ა. ჩაიკოვსკაიას და ერთიც მ. ტოგონიძეს პლოეშტში.

ე. კაკაბაძე რუმინელ პირველთანრიგოსანს ბუქარესტში მხოლოდ ერთხელ შეხვდა. პარტიაში ქართველმა მოჭადრაკემ კომბინაციური გარღვევით გამარჯვებისათვის გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვა.

1. e4 c5 2. ∂f3 e6 3. d4 cd 4. ∂:d4 a6 5. ♇d3 ∂c6 6. ∂:c6 dc 7. 0—0 e5 8. ∂d2 ♇d6 9. b3 ∂e7 10. ∂c4 ♇c7 11. ♇b2 f6 12. ♕h5+ ♔g6 13. f4 0—0 14. fe b5 15. ef gf 16. e5 f5 17. ♖ad1 ♕h4 18. ♕:h4 ∂:h4 19. ∂d6 ♇e6 20. ♇d4 ♔g6 21. ♇:f5 ∂:f5 22. ∂:f5 ♇:e5 23. ♇:e5 ∂:e5 24, ∂e7+ ♔g7 25. ♖fe1 ♔g6 26. ∂:c6 ∂:c6 27. ♖d6+ ♔g7 28. ♖:c6 ♖d8 29. ♖:a6 ♖d2 30. ♖f1 ♖:f1+ 31. ♔:f1 ♖:c2 32. a3 ♖b2 33. b4 ♖a2 34. ♖a5 ♔f6 35. h3 h6 36. ♔g1 ♔g6 37. ♔h2 ♔f6 38. ♔g3 ♔g6 39. ♔f3 h5 40. h4 ♖a1 41. ♔e4

შავები დანებდნენ

პირველი სიმძიმე

ფოტოეტიუდი ზ. დათუაშვილისა



— უსიტყვოდ...

ნახ. ა. ერაძისა

სნაიპერთა ცხრილში

იტალიელი სპორტული მიმომხილველები ყოველთვის თვალსაჩინო ყურადღებას უთმობენ ფეხბურთში ევროპული ჩემპიონატის სნაიპერებს. შარშანწინ საუკეთესო სნაიპერი იყო ანჯელილო („ინტერნაციონალე“), ხოლო შარშან ალტაფინი-მაცოლა („მილანი“).

მოგვყავს წლევანდელი ჩემპიონატის საბოლოო შედეგები: ბრიჯენტი („სამპდორია“) — 28 გოლი, ალტაფინი („მილანი“) — 22, სივორი („იუვენტუსი“) და მანფრედინი („რომა“) — 20.

საყურადღებოა, რომ 10 საუკეთესო სნაიპერიდან 8 იმპორტირებული მოთამაშეა.

დღეს!

თბილისის ციოდრომზე

საქართველოს რესპუბლიკური სპარტაკიადა სპორტის ტექნიკურ სახეობებში



საზეიმო გახსნა

პროგრამაშია: ავიამოდელების დემონსტრაცია, ავტომობილისტთა შეჯიბრება, ხამსახურებრივი ძალების საჩვენებელი მუშაობა, შეჯიბრება საციოდროო მოტორბოლაში და სხვ.

დასაწყისი 11 საათზე

გაზეთი გამოდის ხამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დალმართი № 12, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 8-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 8-90-34, გამომშვების — 8-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. УЭ 01058